პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2024 წლის ივლისი
ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩას და ქუჩის I ჩიხს ეწოდოს წმინდა ბარბარეს სახელი თანდართული რუკის შესაბამისად,

**მუხლი 2.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

**მუხლი 4**. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 5**. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ბესიკ ტაბიძე

ქ. ლანჩხუთი წმინდა ბარბარეს ქ.

